საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება № MOH 7 23 00000048

ქ. თბილისი 06/02/2023 წელი

COVID-19-ის ტესტირებას დაქვემდებარებული სხვა დამატებითი ჯგუფების ჩამონათვალის, ტესტირების მექანიზმის, პერიოდულობის, ჯერადობისა და მონაცემთა აღრიცხვის წარმოების განსაზღვრის შესახებ

,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 75-ე მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის N975 განკარგულების მე-4 პუნქტის, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის N975 განკარგულებით განსაზღვრულ ტესტირებას დაქვემდებარებული სხვა დამატებითი ჯგუფების ჩამონათვალი, ასევე, ამ განკარგულებით განსაზღვრული ჯგუფების ტესტირების მექანიზმი, პერიოდულობა, ჯერადობა, მონაცემთა აღრიცხვის წარმოება და სხვა პირობები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ამბულატორიულ ტესტირებას ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით ექვემდებარება ოჯახის ექიმის ან/და ეპიდემიოლოგის მიერ რეფერირებული, ან/და თვითდინებით მისული ნებისმიერი პაციენტი, რომელიც შეესაბამება ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევის სტანდარტული განმარტებით მოცულ შემთხვევებს. აღნიშნული პაციენტისგან, ან მისი კანონიერი წარმომადგენლისგან არ უნდა იქნეს მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტი და/ან რაიმე სახის საფასური ტესტირების მომსახურების გასაწევად. ამასთან, სიმპტომების არსებობის შემთხვევაში განმეორებითი ამბულატორიული ტესტირება, ანტიგენის (SARS-

CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით, შეიძლება ჩატარდეს 72 საათის შემდეგ;

ბ) ხანდაზმულთა და შშმ პირთა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 24-საათიანი სტრუქტურული ერთეულების – ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში (ე.წ. თავშესაფრებში) მომსახურე პერსონალი ექვემდებარება ტესტირებას ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით არაუმეტეს 72 საათში ერთხელ, ან/და თვითტესტირების რეჟიმით;

გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში განთავსებულ ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ვიზიტად მყოფი პირი ექვემდებარება ტესტირებას ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით, შესაბამის დაწესებულებაში შესვლისას;

დ) მუნიციპალურ საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრებსა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ეროვნული ცენტრი) დასაქმებული პირები ექვემდებარებიან ტესტირებას ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით არაუმეტეს 72 საათში ერთხელ, ან/და თვითტესტირების რეჟიმით;

ე) ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული პირები ექვემდებარებიან ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით ტესტირებას სურვილის შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლისას, ადმინისტრაციული საზღვრის გადმოკვეთის დროს, მაგრამ არა უმეტეს 48 საათში ერთხელ;

ვ) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოსათავსებელი პირები ექვემდებარებიან ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით ტესტირებას იზოლატორში მოთავსებისას, სხვა დაწესებულებაში გადაყვანისას, ასევე, შემთხვევის სტანდარტული განმარტებით განსაზღვრულ შემთხვევებში;

ზ) ეპიდზედამხედველობის მიზნებისთვის, პჯრ მეთოდით ტესტირებას და სხვა მაღალტექნოლოგიურ კვლევებს ექვემდებარება: გრიპისმაგვარი დაავადებების/მძიმე მწვავე რესპირაციული დაავადებების (ILI/SARI), COVID-19 საყრდენი ბაზებიდან შემოსული სინჯები, გავრცელების შეცვლილი პოტენციალის მქონე შემთხვევები, ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობის მქონე ცალკეული შემთხვევები (აფეთქება, განსხვავებული კლინიკური მიმდინარეობა) უჩვეულო, მოულოდნელი, მძიმე/მსუბუქი, მაღალი რისკის შემცველ პროფესიულ ჯგუფში შემავალი შემთხვევები, გაზრდილი ლეტალობის კლასტერი ან დამოუკიდებელი შემთხვევა, ეჭვი უცხო ქვეყნიდან შემოსულ ახალ ვარიანტზე, ეჭვი არსებული სადიაგნოსტიკო საშუალებების სენსიტიურობის ან სპეციფიკურობის ცვლილებაზე, სხვა ლაბორატორიების ხარისხის კონტროლის მიზნით ამოღებული ნიმუშები, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის, პრეპარატების და სხვა პირდაპირი და არაპირდაპირი პროფილაქტიკის საშუალებით ეფექტურობის განსაზღვრის ხელშეწყობის მიზნით, ასევე ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით უარყოფითი შედეგის მქონე, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) საეჭვო პაციენტის საკვლევი ნიმუში დიფერენციალური დიაგნოსტიკის მიზნით;

თ) საპატრიარქოს მაღალი სასულიერო პირები და მათი ვიზიტორები, ასევე, საპატრიარქოს პერსონალი ექვემდებარება ტესტირებას ანტიგენის სწრაფი ტესტით ან პჯრ მეთოდით, მოთხოვნის შესაბამისად.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ზ“ და ,,თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტესტირება პჯრ მეთოდით, ხორციელდება მხოლოდ ეროვნული ცენტრის

ლაბორატორიებში, მათ შორის, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში შესყიდული ჯინექსპერტ კარტრიჯებით.

4. პაციენტებისათვის გაწეული მომსახურების აღრიცხვის ერთადერთ ფორმად განისაზღვროს „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის N01-26/ნ ბრძანებით განსაზღვრული ფორმა IV-14/2 (COVID-19-ზე ტესტირების აღრიცხვის ელექტრონული მოდული). გამონაკლის შემთხვევებში, (მათ შორის, საველე პირობებში გამსვლელი ბრიგადებით) ჩატარებული ტესტირებები აღრიცხული უნდა იქნეს ქაღალდმატარებლებზე, შემდეგ სპეციფიკურ ჯგუფებში: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების პერსონალი (ასევე, ახალწვეულები და სამშვიდობო მისიებში მონაწილე კონტინგენტი); სპეციალური პენიტენციური სამსახურის ბენეფიციარები/ვიზიტორები და მომსახურე პერსონალი; საპატრიარქოს პერსონალი და საპატრიარქოს მაღალი იერარქიის პირებთან ვიზიტორები.

5. სერვისის მიმწოდებელი ვალდებულია, პჯრ მეთოდით და ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით დადასტურებული შემთხვევები დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს ელექტრონულ სისტემაში, ხოლო დანარჩენ ტესტირებებზე, მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში, დადებითი შედეგის თაობაზე, ინფორმაცია გადასცეს უშუალოდ პაციენტს და მის ოჯახის ექიმს, თუ პაციენტი ტესტირებისათვის რეფერირებულია ოჯახის ექიმის მიერ. ამასთანავე, ამ ბრძანების მე-4 პუნქტის შესაბამისად გამონაკლის შემთხვევებში ჩატარებული ტესტირებები, რომელიც აღრიცხულია ჯამურად ქაღალდმატარებლის სახით, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული ფორმით წარდგენილი უნდა იქნეს ეროვნულ ცენტრში.

6 . ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით ტესტირება განხორციელდება დადგენილი წესით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ.

7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ რეგისტრირებული „SARS-CoV-2-ის თვითტესტირებაზე წვდომის დაჩქარება საქართველოში“ საგრანტო პროექტის ფარგლებში გადმოცემული ტესტებით, ტესტირება გაგრძელდეს სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებული პროექტით წინასწარ შერჩეულ ჯგუფებში, თვითტესტირების რეჟიმით, პროექტით გათვალისწინებული პირობებით. ამასთან, დონორის მიერ მოწოდებული ტესტების დარჩენილი რაოდენობა გამოყენებულ იქნეს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამედიცინო პერსონალის, ხანდაზმულთა და შშმ პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებებისა და თავშესაფრების პერსონალის, სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული უწყებების თანამშრომელთა თვითტესტირებისათვის, ამასთან, შესაბამის უფლებამოსილ პირებს მიეცეთ უფლება თვითტესტირების დადებითი შედეგი ასახონ ელექტრონულ სისტემაში.

8. COVID-19-ის ტესტირების სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები ვალდებულნი არიან, ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კვლევების ჩატარების მიზნით, ეროვნული ცენტრის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყონ შესაბამისი საკვლევი მასალის გაგზავნა ეროვნული ცენტრის ლაბორატორიაში.

9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „COVID-19-ის ტესტირებას დაქვემდებარებული სხვა დამატებითი ჯგუფების ჩამონათვალის, ტესტირების მექანიზმის, პერიოდულობის, ჯერადობისა და მონაცემთა აღრიცხვის წარმოების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 7 მარტის N01-110/ო ბრძანება.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად